ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 13 მაისი, 2020 | №105 (8369) | ფასი: 60 თეთრი

ადვოკატი ტყეშელაძე: „მერაბ კობიაშვილი ჩხუბის დასრულების შემდეგ ერთადერთი მოძალადე იყო“

„გახარია თუ არ გაუშვეს, ის მერე ივანიშვილსაც დაამარცხებს“

ლადო სადღობელაშვილი: „ოცნებას“ არჩევნების გადადება აწყობს“

თინა ხიდაშელი: „ოცნებამ“ ღრმად შეჭოჭა და უკან დასაბრუნებელი გზა აღარ დაიტოვა“

„ხელისუფლების ქმედებებს აშშ-საქართველოს ურთიერთობაზე გავლენა ექნება. ამერიკაში სიტყვას ფასი აქვს“

„არჩილ თალაკვაძე იყო მომლაპარაკებელი ელჩებთან. მის ადგილას ნებისმიერი თავმოყვარე პოლიტიკოსი გადადგებოდა“

ლევან ბერძენიშვილი: „ოცნება“ გააფთრებულ ახალ ტალღას ველარ გადაიტანს“

მურმან დუმბაძე: „ივანიშვილს ვურჩევ, მშვიდად გადავიდეს ოპოზიციაში“

გოგი წულაია: „ხელისუფლება ცალი ხელით ევროპასა და ამერიკას ფულს სთხოვს, მეორე ხელით კი ატყუებს“

გია ჟორჟოლიანი: „კინზინგერს 8 მარტის შეთანხმება ედარდება? ტვიტერზე ვილაცის ხათრით დაწერა“

„საქართველოში სასამართლო სისტემა რომ არ ვარგა, ნაციონალებზე უკეთესად ჩვენ ვიცით“

ISSN 1987-9385

5 თბილისში, მეტეხის ქუჩაზე, მიტოვებულ სახლში გარდაცვლილი მამაკაცი იპოვეს

5 სარფში დაკავებულ პირს სამოქალაქო კლინიკის კარანტინში კოვიდ 19 დაუდასტურდა

5 შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 87 ფაქტი გამოავლინა

6 პუტინის პრესსპიკერ პესკოვს კოვიდ 19 დაუდგინდა

„თვეზე მეტია, პუტინს არ შევხვედრივარ“

თინა ხიდაშელი: „ოცნებამ“ ღრმად შეტოპა და უკან დასაბრუნებელი გზა აღარ დაიტოვა“

„ხელისუფლების ქმედებებს აშშ-საქართველოს ურთიერთობაზე გავლენა ექნება. ამერიკაში სიტყვას ფასი აქვს“

იაგო ნაცვლიშვილი

11 მაისს „ქართულმა ოცნებამ“ უკან წაიღო ოპოზიციასთან მიღწეული შეთანხმების მეორე ნაწილი, რომელიც პოლიტპატიმრების თემას ეხებოდა.

შეთანხმებაში ტერმინი „პოლიტპატიმარი“ არ იყო ჩაწერილი, ისევე, როგორც კონკრეტული გვარები, თუმცა, ოპოზიციის მტკიცებით, შეთანხმება კონკრეტული პატიმრების გათავისუფლებაზე იყო და ამიტომ ჩაიწერა პრეზიდენტის ინსტიტუტის როლი. ამავეს ამბობს ირმა ინაშვილიც (პატრიოტთა ალიანსი), რომლისთვისაც პოლიტპატიმრების კონტექსტი მიუღებელი იყო და შეთანხმების ამ ნაწილს ხელი არ მოაწერა.

ამაზე მკაფიო მინიშნება გააკეთეს ელჩებმაც, რომლებმაც გაავრცელეს ერთობლივი განცხადება და მხარეებს შეთანხმების ორივე ნაწილის შესრულებისკენ მოუწოდეს. განცხადებები გაკეთდა აშშ-შიც. საქართველოს მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი, კონგრესმენი ადამ კინზინგერი, შეთანხმების საბოლოო შესრულების აუცილებლობაზე საუბრობს. კიდევ უფრო კატეგორიულია სენატის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე ჯიმ რიში. სენატორმა პირდაპირ გამოიყენა ტერმინი „პოლიტპატიმრები“ და მათი გათავისუფლება მოითხოვა.

როგორ უნდა გავიგოთ ეს განცხადებები და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ ყოველივეს ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებზე? – ამ საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თავდაცვის ყოფილი მინისტრი, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეის“ თავმჯდომარე **თინა ხიდაშელი** საუბრობს.

– როგორ აფასებთ საელჩოებისა და სენატორების განცხადებებს და ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნებისთვის“ ეს საკმარისი იქნება?

– არა, სამწუხაროდ, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იქნება. ნეტავ ასე ვფიქრობდე... მე ვფიქრობ, რომ ღრმად შეტოპა „ქართულმა ოცნებამ“ და იმდენად მძიმე მდგომარეობაში ჩაიყენა საკუთარი თავი, რომ მაინცდამაინც უკან დასაბრუნებელი გზა აღარ დაიტოვა. მათ ნებაყოფლობით თვითონ გადაწყვიტეს, რომ ეს იყო გზა, რომლითაც უნდა ევლოთ, რაც სამწუხაროა, იმიტომ, რომ შესაძლებელი იყო, სრულიად სხვაგვარად განვითარებულიყო მოვლენები.

– ანუ არ ფიქრობთ, რომ „ოცნებას“ მაინც მოუწევს უკანდახევა და პატიმრების გამოშვება?

– არ ვიცი. ეს ძალიან რთული სათქმელია და ჩემი მხრიდან სუპერარასწორი იქნება, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეს ეხება პატიმრობაში მყოფ პირებს, იმის მიუხედავად, პირადად როგორი განწყობა მაქვს ამ ადამიანებთან დაკავშირებით, უშუალოდ მათთან მიმართებით, ისინი მაინც ციხეში არიან. იმ ადამიანებს, რომლებსაც ადამიანის უფლებების სფეროში გვიმუშავია, პატიმრების მიმართ სპეციფიკური განწყობა გვაქვს ხოლმე და ამ თემაზე სპეკულაციებს მოვერიდები, ისევ და ისევ იმის გათვალისწინებით, რომ მესმის, ისინი მძიმე მდგომარეობაში არიან.

– დიპლომატიურ გზავნილებზე როგორია თქვენი შეფასება? იყო თუ არა საკმაოდ მკვეთრად ნათქვამი განცხადებები თუ ისევ დიპლომატიის ჩარჩოებით შემოიფარგლა?

– მე ვფიქრობ, დიპლომატების გზავნილები იყო სრულიად ნათელი და გასაგები. ხელისუფლებას შეუძლია, ბოლომდე დადგეს ამ პოზაში, რომ ვერ გაიგო ან ვერ აღიქვამს, რაც ნამდვილად არ ვიცი, რატომ არის კარგი, როდესაც ხელისუფლება ასე იქცევა ან როდესაც ცდილობს წარმოაჩინოს, რომ საერთოდ არ ესმის, რაზეა ლაპარაკი. მაგრამ ეს მათი არჩევანია და მათი გადასაწყვეტია, როგორ მოიქცევიან. ამაში ჩვენ ვერ ჩავერევით.

არც არის ჩემთვის აქტუალური და მნიშვნელოვანი, საბოლოო ჯამში, რას გადაწყვეტს ხელისუფლება და როგორ მოიქცევა. მთავარი და აქტუალური ის არის, ეს როგორ აისახება ჩვენს მოსახლეობასა და ჩვენს შემდგომ განვითარებაზე. გავიგეთ, რომ ეს ხელისუფლება ერთ მომენტში ისევე აღარ იქნება სათავეში, როგორც მისი წინამორბედი და იმის წინამორბედი აღარ იყო.

– მოსახლეობაზე როგორ აისახება?

– რაც შეეხება მოსახლეობაზე ამ ყველაფრის ასახვას, ეს არ იქნება მარტივი და სასიამოვნო საყურებელი, იმის გამო, რომ, ჩვენი ხელისუფლებისგან განსხვავებით, ადამიანებმა საკუთარი სიტყვის ფასი იციან. მხედველობაში მაქვს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან გაკეთებული განცხადებები. ისინი საკუთარ ნათქვამ სიტყვას მნიშვნელობას ანიჭებენ.

მათ იციან, რომ თუ, მაგალითად, ხარ სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, მაშინ ნებისმიერი სიტყვა, რომელსაც იტყვი, შეიძლება აისახოს ამა თუ იმ ქვეყანაზე და მუდმივად აწონ-დაწონის რეჟიმში ხარ, სანამ რამეს იტყვი. შესაბამისად, დღეს ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ გვითხრა, რომ გვყავს პოლიტპატიმრები. მან ეს გვითხრა პირდაპირ, ყოველგვარი ქვეტექსტებიც გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ ხვალ და ზეგ, როდესაც მის კომიტეტზე საქართველოს საკითხი განიხილება, ეს ფაქტი გავლენას მოახდენს.

აუცილებლად იქნება განხილული სენატის კომიტეტში საქართველოსთან დაკავშირებული საკითხები, რადგან საგარეო კომიტეტია ის, ვინც მუშაობს იმავე დახმარების პაკეტებთან, უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ კი ამერიკის სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს უსაფრთხოების საკითხების ასახვაზე და ა.შ.

ამ დროს მას აუცილებლად გაახსენდება, რომ განცხადება აქვს გაკეთებული იმაზე, რომ ამ ქვეყანაში არსებობენ პოლიტპატიმრები. ის აუცილებლად მოიკითხავს ამ მდგომარეობას და, შესაბამისად, ყველა გადაწყვეტილება, რომლებიც ამის შემდეგ მიიღება, ამ პრიზმაში იქნება გატარებული.

– ანუ ამერიკის პოლიტიკაზე იქონიებს გავლენას?

– რა თქმა უნდა. იმ ვითარებაში, რომელშიც ჩვენ ვართ, როდესაც, ერთი მხრივ, კორონავირუსის გამო გვჭირდება უზარმაზარი მხარდაჭერა და დახმარება ჩვენი პარტნიორებისგან და, მეორე მხრივ, იმის გამო, რომ რუსეთი ეკონომიკურადაც და ინსტიტუციურადაც ჩამოშლის პირას არის, სწორედ ასეთ დროს აქტიურდება ხოლმე და ცდილობს, შიდა დანაკარგები წარმატებებით ამოქაჩოს, ძალიან მძიმეა და ძალიან რთულად შეიძლება აისახოს ჩვენს ქვეყანაზე ხელისუფლების ის დამოკიდებულებები და განწყობები, რომლებსაც ვხედავთ.

ლევან ბერძენიშვილი: „ოცნება“ გააფთრებულ ახალ ტალღას ვეღარ გადაიტანს“

იაგო ნაცვლიშვილი

ბოლო 2 დღეა, „ქართული ოცნება“ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ქვეშ არის. მიზეზი ისევ ჩაგდებული დაპირება და შეთანხმების დარღვევაა. მრავალთვიანი მოლაპარაკების ორპუნქტიან შეთანხმებასთან დაკავშირებით „ქართული ოცნება“ ჯიუტად ამტკიცებს, რომ კონკრეტული პატიმრების გათავისუფლების შესახებ მათ არ უსაუბრიათ. საელჩოებმა ამასთან დაკავშირებით უკვე მეორედ გააკეთეს დიპლომატიური გზავნილები, თუმცა ხელისუფლებამ ესეც სათავისოდ თარგმნა, სენატორები კი უფრო მკვეთრები იყვნენ.

რას ნიშნავს ხელისუფლების ეს პოლიტიკა და მოუწევს თუ არა არჩევნებამდე ამ დაპირების შესრულება „ქართულ ოცნებას“? – ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **ლევან ბერძენიშვილი** პასუხობს.

– ერთი კამპანიაა ატეხილი „ქართული ოცნების“ მხრიდან პოლიტპატიმრების თემაზე, თუმცა ჩვენ მოვისმინეთ სენატორებისა და საელჩოების განცხადებები. როგორ აფასებთ ამ ვითარებას?

– „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ჰგონიათ, რომ საქართველოში მხოლოდ ის ხალხი ცხოვრობს, ვინც „იმედს“ უყურებს, მაგრამ, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ტყუიან. ეს თვითონაც მშვენივრად იციან. ელჩმა გააკეთა განცხადება, რაც სავსებით საკმარისია და ნებისმიერი მიხვდება იქიდან, რა და როგორ იყო. იყო შეთანხმება, რომელსაც არ ასრულებენ. ჰგონიათ, რომ კორონა წამოეხმარა და ვერ მოიცლიან მათთვის სხვა ქვეყნები, მაგრამ, სიტყვას გაძლევთ, რომ აუცილებლად მოიცლიან და ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა.

– მოუწევს „ქართულ ოცნებას“ იმ დაპირების შესრულება, რომელიც უკავშირდება პოლიტპატიმრებს და ამის გაკეთება მოუხდებათ არჩევნებამდე?

– დიახ, მე ვფიქრობ, რომ მოუწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, წააწყდებიან გააფთრებულ ახალ ტალღას, რომელსაც ვეღარ გადაიტანენ.

– საელჩოების განცხადების შემდეგ როდესაც ირაკლი კობახიძე ისევ ამტკიცებს, რომ ეს განცხადება არის ის, რასაც ჩვენ ვიძახდით, კონკრეტულ სახელებზე საუბარი არ ყოფილაო, ეს რას ნიშნავს?

– უტიფარია და დეგენერატი, თორემ... ვინც მას უსმენს და მაგის სჯერა, ის მაგაზე დეგენერატია. ესაა სულ. გასაგებია, რომ საელჩოებმა თქვეს სათქმელი – ქართულად, ინგლისურად, ფრანგულად... ყველა ენაზე გასაგებად, რომ საკითხი იყო დასმული და დადებითად გადაწყდა. იყო ხსენებული გვარები. ეს ყველაფერი ითქვა ბევრჯერ. ხომ გეუბნებით, მათ სჯერათ, რომ შეუძლიათ, მოატყუონ მოსახლეობა.

– ხომ არ გგონიათ, რომ თავის დროზე ოპოზიციამაც დაუშვა შეცდომა, როდესაც ბიძინა ივანიშვილს, წარსული გამოცდილების მიუხედავად, მაინც ენდო და კონკრეტული გვარები და დათქმები არ ჩაუწერა სიაში?

– არა. უკაცრავად, მაგრამ ახლა ეგ მე როგორ გითხრათ?! როდესაც ამ საკითხს არკვევდნენ უცხოელი პარტნიორები, მაშინ ოპოზიციას რა შეეძლო?! კონკრეტული გვარები ჩავწეროთო და ა.შ. ცოტა არადამაჯერებელი იქნებოდა. ის, რასაც მაშინ მივაღწიეთ, სრულიად საკმარისი იყო.

რაც შეეძლო გაეკეთებინა, ის აღარ გააკეთა. საერთოდ, თავად თქვეს, პროპორციულ სისტემას გავაკეთებთო და იმაზე თქვეს შემდეგ უარი... არანაირი შეცდომა ოპოზიციას არ დაუშვია.

გია ჟორჟოლიანი: „კინზინგერს 8 მარტის შეთანხმება ედარდება? ტვიტერზე ვილაცის ხათრით დაწერა“

„საქართველოში სასამართლო სისტემა რომ არ ვარგა, ნაციონალებზე უკეთესად ჩვენ ვიცით“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის წევრი გია ჟორჟოლიანი პასუხობს.

– ბატონო გია, თქვენ განაცხადეთ, რომ ნაცებისა და ევრონაცების გარეშე შესაძლებელია საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება შეთანხმებული საარჩევნო კანონის მისაღებად. რა გათვლები გაქვთ?

– თუ გახსოვთ, ასეთივე ჩიხი თითქოს იანვარშიც შეიქმნა, რაზეც მოლაპარაკების მაგიდასთან მსხდომმა „ოპოზიციამ“ (ოპოზიცია ბრჭყალებში, რადგან ამ სიტყვას არასწორად ხმარობენ) – ნაცებმა, „ევროპულმა საქართველომ“ და მათთან დაკავშირებულმა პარტიებმა უგულავას დაპატიმრების შემდეგ განაცხადეს, რომ მოლაპარაკებებს წყვეტენ. მაშინ ჩვენ გავაკეთეთ განცხადება, რომ თუ „ოცნებას“ უნდა ამ საკითხის განხილვა პარლამენტში, მას ამის შესაძლებლობა აქვს.

– როგორ?

– პარლამენტში ნაცებსა და „ევროპულ საქართველოს“ აქვთ 27 ხმა (21 – „ევროპულ საქართველოს“, 6 – ნაცმოძრაობას). 150-ს 27 რომ გამოვაკლოთ, არის 123 დეპუტატი. აქედან 92 ჰყავს „ოცნებას“, დარჩა 20 დეპუტატი. მასში შედიან დამოუკიდებელ დეპუტატთა ფრაქცია, სოციალ-დემოკრატები, პატრიოტთა ალიანსი, ნაცვლიშვილი, ცქიტიშვილი, ჩუგოშვილი და სხვები, ბესელია და კონსერვატორები. ისინი საჯაროდ აცხადებენ, რომ ამ საკონსტიტუციო ცვლილებას მხარს უჭერენ. ამიტომ ამ საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელება ნაცებისა და ევრონაცების მხარდაჭერის გარეშეც არის შესაძლებელი.

ამდენად, თუ ეს საკითხი დადგება პარლამენტში განსახილველად, სავსებით შესაძლებელია, ნაცმოძრაობისა და ევრონაცების მხარდაჭერის გარეშეც განხორციელდეს ცვლილება.

– მაშინ რა ავალდებულებს „ოცნებას“, აჰყვეს ნაცების თამაშს?

– რამდენიმე მიზანი შეიძლება იყოს. ერთი, ვფიქრობ, მათი პოლიტიკა ინერციულია. მეორეა, ზოგადად, დამოკიდებულება, გინდა თუ არა, ორპოლუსიანი სისტემაა, რომლის ერთ მხარეს „ოცნებაა“, მეორე მხარეს – ნაცები და მათი სატელიტები. ისინი ერთმანეთში დისკუსიობენ და მათ შორის მიღწეულ უნდა იქნეს კონსენსუსი.

ამ დროს ამ გადაწყვეტილებისთვის ამგვარი კონსენსუსის არავითარი საჭიროება არ არის. ამ ინერციას მიჰყვებიან. ერთი მხრივ, ეს ინერციაა, მეორე მხრივ, შეიძლება, სასარგებლოც იყოს.

– სასარგებლო რა მხრივ?

– ერთმანეთის კრიტიკითა და ბრალდებებით ცდილობენ აჩვენონ, რომ მეტი ალტერნატივა არ არსებობს. თუ ნაცები არა, მაშინ მე

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარია თუ არ გაუშვეს, ის მერე ივანიშვილსაც დაამარცხებს“

ლადო სადღობელაშვილი: „ოცნებას“ არჩევნების გადადება აწყობს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– ლადო, ვნახეთ, რა რეაქცია მოჰყვა „ოცნების“ ლიდერების განცხადებებს პოლიტპატიმრების გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ვისმენთ სენატორებისა და დიპლომატების განცხადებებს, რომ შეთანხმების ორივე ნაწილი უნდა შესრულდეს. ახლა რაღას იტყვის „ოცნება“?

– ეს არის „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გაშიშვლება. ორ დღეზე მეტია, ვისმენთ „ქართული ოცნების“ ლიდერების, გახარიას, თალაკვაძის, კობახიძისა და კალაძის განცხადებებს, სადაც ეს ადამიანები ამბობენ, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არ არიან, რომ მათ არ ჰქონდათ არავითარი შეთანხმება მათ გამოშვებაზე.

– რის იმედად აკეთებდნენ ამ განცხადებებს?

– სიმართლე გითხრათ, ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. როდესაც მე და თქვენ რაღაცაზე კონფიდენციალურად ვთანხმდებით, ორივე ვიღებთ იმაზე პასუხისმგებლობას, რომ ეს არ გავა ჩვენი პირიდან. თამაში წამოიწყეს, თითქოს დივიდენდების მოპოვებას ცდილობდნენ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი თავზე ჩამოემხოთ.

„ოცნებამ“ იცოდა, რომ ძალიან გაუჭირდებოდა იმ პირების გამოშვება, ვისზეც შეთანხმება დაიდო. მას როგორმე უნდა შეეპარებინა ეს საზოგადოებისთვის, თუმცა ასე პირდაპირ ოპოზიციის მხილებითა და მასზე გადაბრალებით ეს შეპარება აღარ გამოვა. აქ რჩება ერთადერთი გზა, რომ ეს პირები გამოუშვან. თუ დემოკრატიული გზა აქვს არჩეული ამ ხელისუფლებას, მაშინ უნდა გამოუშვან.

– როგორც ჩანს, არ ელოდნენ, რომ ამ პანდემიის ფონზე ასეთი რეაქცია ექნებოდა დასავლეთს და ეგონათ, მარტივად გამოძვრებოდნენ. ასეა?

– მეც ეგრე მგონია, რომ მაგის იმედი ჰქონდათ, ამ პანდემიის ფონზე, ამ ქაოსისა და ჩაკეტილობის გამო, ჩვენთვის ვერ მოიცლიდნენ ამერიკელი თუ ევროპელი დიპლომატები. არადა, პირიქით მოხდა. ეს არის პირდაპირი შეტევა „ქართულ ოცნებაზე“. „ქართულ ოცნებას“ უტევს არა მარტო ოპოზიცია, სამწუხაროდ, უტევს მთელი ცივილიზებული სამყაროც.

– ივანიშვილს უკვე ღიად ემუქრებიან სანქციებითა და ანგარიშების დაყადაღებით.

– ასეა, ამის თქმას ვაპირებდი ზუსტად. რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთმა სენატორმა მოაწერა ხელი ბიძინა ივანიშვილის ანგარიშებზე სანქციების დადებას. ეს პირდაპირ არის იმის ნიშანი, რომ „ქართული ოცნება“ პოლიტიკურად ტიტვლდება.

ორი გზა აქვს დარჩენილი „ქართულ ოცნებას“. ერთი გზაა, რომ წავიდეს და საერთოდ დაიკარგოს, არათუ ოპოზიციაში გადავიდეს, არამედ აორთქლდეს პოლიტიკური ველიდან, ხოლო მეორე გზაა რადიკალური ზომების მიღება პარტიული ფეისების მიმართ. რამდენიმე დღის წინ იყო საუბარი რაღაც ახალ ფეისებზე, თუმცა არც ამის იმედი მაქვს, რომ ეს უშველის „ოცნებას“.

– ასეთი ვერსია გავრცელდა, რომ რადგან სააკაშვილი უკრაინაში დაინიშნა თანამდებობაზე და ეს ამერიკელების გარეშე ვერ მოხერხდებოდა, ივანიშვილმა სამაგიერო გადაუხადა და აღარ უშვებს პატიმრებს. ამაზე რას ფიქრობთ?

– არა მგონია, რომ ასე იყოს. მე თუ მკითხავთ, „ქართულ ოცნებას“ უნდა აწყობდეს კიდეც მიხეილ სააკაშვილის უკრაინაში გამწესება.

– რატომ, უკეთ შექმნის მისგან ბუას?

– ბუასაც შექმნის და თან მიშა ამ ეტაპზე საქართველოსთვის ვერ მოიცლის. მე ვუყურე სააკაშვილის ბოლო ეთერს გვარამიასთან და ვხედავდი, რომ ეს ადამიანი ბევრად უფრო გაწონასწორებულად და დალაგებულად საუბრობდა, მისი წინა ეთერებისგან განსხვავებით. სხვათა შორის, ამ რეფორმების კომისიის თავმჯდომარეობა ძალიან სერიოზული თანამდებობაა და ტყუილად ცდილობენ აქ მის დაკნინებას. ყველა ბიზნესს, ყველა მინისტრს, ყველა ორგანიზაციას აკონტროლებს და უთითებს მათ, როგორ მოიქცნენ. რეფორმების კომიტეტი როგორ შეიძლება იყოს ხელწამოსაკრავი!

– რით დასრულდება „ქართული ოცნებისა“ და ცივილიზებული მსოფლიოს ჭიდილი? ღია და დაუფარავი განცხადებები კეთდება. რას ელოდებით?

– სანამ სენატორები კინზინგერი და რიში ამ განცხადებებს გააკეთებდნენ, ერთი პერიოდი ეჭვიც შემეპარა ნაციონალური მოძრაობის განცხადებებში პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით და დავიჯერე კიდეც „ქართული ოცნების“, იქნებ სიმართლეს ამბობენ-მეთქი. არ მეგონა, ასე უტიფრად თუ შეეძლოთ ხალხის მოტყუება, მაგრამ, იმის მერე, რაც სენატორების განცხადებები მოვისმინე, გაოცებული ვარ.

კინზინგერი ის სენატორია, რომელთანაც არჩილ თალაკვაძე იყო ჩასული და ძმობა შეჰფიცა. ახლა ეს ადამიანი გამოდის და ამბობს, გამოუშვით პოლიტპატიმრები, ჩვენი შეთანხმება ეს იყო. კინზინგერი ხომ არ მოიტყუება?! როდესაც სამი მხრიდან ორი ამბობს, „ოცნება“ იტყუებაო, ე.ი. ის იტყუება.

როგორ დავიჯერო, რომ სენატორები შეკრულები არიან ჩვენს ოპოზიციასთან. ეს ხომ ზღაპარია, არა?! სენატორები სახელმწიფოებრივად საუბრობენ და თავიანთ სახელმწიფოებრივ ინტერესებს ატარებენ. არა მგონია, ასეთი დონის შეთქმულებას ჰქონდეს ადგილი. მე მიჩნდება განცდა, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებს გადადებს.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– თუ არ გადადებს, მაშინ წააგებს. ახლა დროის გაწელვა „ქართული ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს. ეს საკონსტიტუციო ცვლილებები საარჩევნო მანდატებთან მიმართებით უნდა მიიღონ, რა თქმა უნდა, ეს პირები უნდა გამოუშვან. სამ პოლიტპატიმარზეა საუბარი, მაგრამ აქედან მინიმუმ ორი მაინც უნდა გამოუშვან.

არჩევნების გადადება შეუძლიათ სამიდან ხუთ თვემდე და, ალბათ, ასეც მოიქცევიან. საგანგებო მდგომარეობა მათ ამის შესაძლებლობას აძლევს.

პანდემია და საგანგებო მდგომარეობა რომ გამოცხადდა, ვიფიქრე, ამ სიტუაციას სათავისოდ გამოიყენებენ-მეთქი, რადგან ყველა გონიერი მთავრობა ასე მოიქცეოდა, დროს იხელთებდა და ხალხს მაქსიმალურად მოაწონებდა თავს. თუმცა უკვე მესამე თვე მიილევა და რა გააკეთეს?! ხალხი გამოკეტეს სახლებში და აშიმშილებენ, საჭმლის ფულსაც კი არ აძლევენ.

– ბოლო დღეებია, აქტიურად დაიწყო საუბარი პრემიერ გახარიას შეცვლაზე. რატომ შემოაგდეს ეს თემა მაინცდამაინც ახლა?

– მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ეს პოლიტპატიმრები ვის სახელს უკავშირდება?! მე და თქვენ? რა თქმა უნდა, გახარიას.

– ანუ, შესაძლოა, ამ თემას გადააყოლონ?

– რა თქმა უნდა. ამის პოლიტიკური პასუხისმგებლობა მას ეკისრება. ახლა ტიკარაძის გვარი შემოაგდეს და მე ეს ბიძინას ტრიუკი მგონია. ჯერ იყო და მაია ცქიტიშვილიო, მერე თალაკვაძეო, ახლა ეს ტიკარაძეო. საზოგადოებრივი აზრის გატესტვა მიმდიმარეობს. ამ ტრიუკს ტყუილად არ შემოაგდებდნენ, რაღაცა ბოლო აუცილებლად უნდა ჰქონდეს.

მეორე მხრივ, ძალიან ბევრი შეცდომაა დაშვებული. სამივე ამ ადამიანის დაკავება გახარიას პირობებში მოხდა და ვიღაცამ პასუხისმგებლობა ხომ უნდა აიღოს. ამ სამიდან ყველა პოლიტპატიმრად არ მიმაჩნია, მაგრამ ისეთ გარემოებებში დააკავეს, რომ ასე მოინათლა.

უგულავას რაღას უშვებდნენ, თუ ისევ უნდა დაეჭირათ?! ოქრუაშვილი კი, მიმაჩნია, რომ ნამდვილად პოლიტპატიმარია და მას ამ შემთხვევაში არანაირი დანაშაული არ აქვს ჩადენილი.

რაც დათესეს, ის მოიმკეს. „რუსთავი 2“ დაშალეს და, იმის მაგივრად, რომ ნიკა გვარამია ციხეში გამოეკეტათ, ორი ტელევიზია გაახსნევინეს და ერთ-ერთ მეწილედ კრიმინალი რურუა შეიყვანეს, ოქრუაშვილი კი, პირდაპირ ვამბობ, რომ პოლიტპატიმარია. მას ბრალი არაფერში მიუძღვის.

– ანუ ახლა რისი მცდელობაა, ყველაფერი გახარიას შეაწმინდონ და ისე მოიშორონ?

– ამაზე ვსაუბრობდი ზუსტად, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ გახარიას შეეწმინდოს მინიმუმ ბოლო ერთი წლის შეცდომები.

ჯერ კიდევ თვეების წინ მეპარებოდა ეჭვი, რომ გახარიას ივანიშვილი არჩევნებს ჩაატარებინებდა. არ მისცემს ამის უფლებას-მეთქი, ადრეც ვამბობდი. ვფიქრობ, ეს პროცესი დაიწყო. რამდენიმე დღის წინაც დავწერე პოსტი ფეისბუქზე, რომ გახარიას არ ჰყავს კარგი პიარი. კარგი პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ცუდად წარმოჩნდება. არ ვიცი, ვინ არის მისი მრჩეველი, მაგრამ აშკარად ცუდი მრჩეველი ჰყავს.

გახარია ახალი ხილი ნამდვილად არ არის. ბევრი პრემიერი ვნახეთ უკვე წასული, რომლებსაც მერე ხელი შეაწმინდეს. არა მგონია, გახარია გამონაკლისი იყოს. თუ არ გამართლდა ჩემი პროგნოზი და გახარია არჩევნებამდე არ წავიდა, მაშინ ეს ადამიანი ბერია ყოფილა და ივანიშვილსაც დაამარცხებს. ახლა თუ არ წავიდა, მერე მინიმუმ სამი წელი არ წავა.

დღეს ძალიან ცუდად არის „ოცნების“ საქმე. ის ამ არჩევნებს წააგებს, თუ არ გადადო.

– და გადადება რას უშველის?

– უშველის. დროს მოიგებს. მიიღოს საარჩევნო კანონი, გამოუშვას მინიმუმ ორი პოლიტპატიმარი, რაც შეიძლება მალე. ამით უკვე დემოკრატიულ გზას დაადგება და ამ გადადებულ დროში ხალხს თავიდან უნდა მოაწონოს თავი.

დღესდღეობით პარტია არის აბსოლუტურად გატიტვლებული. არჩილ თალაკვაძე იყო მომლაპარაკებელი ელჩებთან. მის ადგილას ნებისმიერი თავმოყვარე პოლიტიკოსი გადადგებოდა.

გავრილოვის ღამის შემდეგ კობახიძე ხომ გადადგა. მაინცდამაინც აქციები უნდა გაიმართოს?! ნებისმიერი თავმოყვარე ადამიანი ამას გააკეთებდა.

მურმან დუმბაძე: „ივანიშვილს ვურჩევ, მშვიდად გადავიდეს ოპოზიციაში“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, რამდენად შესრულდება ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მიღწეული შეთანხმება?

– ბიძინა ივანიშვილი ვაბანკზე მიდის. მას ვერ წარმოუდგენია, რომ ხელისუფლებიდან წასვლა შესაძლებელია. ის ვერ ხედავს თავს ოპოზიციაში. ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსი და ამიტომ მისთვის ასეთი პერსპექტივა წარმოუდგენელია, მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით.

არადა, ივანიშვილს, როგორც ოპოზიციაში გადასულს, ექნება იმუნიტეტი. არავინ აპირებს რევანშს. ეს დასრულდა. ვინმეს ერთი თმის ღერიც რომ ჩამოუვარდეს კანონგარეშე, პირველი ამის წინააღმდეგ მე წავალ.

– საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნის შემთხვევაში რა იქნება, ამაზე თუ ჰქონდა კონსულტაციები გაერთიანებულ ოპოზიციას? დღეს ოპოზიცია რისთვის არის მზად?

– არჩევნების მოგებისთვის, კონკურენციისთვის, გამარჯვებისთვის. ახლა თუ არ ჩატარდება პროპორციული არჩევნები, მერწმუნეთ, აუცილებლად ჩატარდება 2020 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ძალიან მალევე.

– როგორ?

– ხელისუფლება შეიცვლება და ვადამდელი არჩევნები დაინიშნება, რომელიც უკვე პროპორციული სისტემით ჩატარდება.

– გადაჭარბებული ხომ არ არის თქვენი ოპტიმიზმი?

– არა და რატომ, არგუმენტს გეტყვით: ახლა ოპოზიციის კოზირი მის ერთობაშია. ის მზად არის, სრულად შეთანხმდეს მაჟორიტარულ ოლქებში, საერთო კანდიდატი წარადგინოს და იბრძოლოს მისი გამარჯვებისთვის. მისი საპირწონე მხოლოდ სახელისუფლებო კანდიდატი იქნება და გარწმუნებთ, ჩვენ ამას შევძლებთ. ამ შემთხვევაში ჩვენ ვიგებთ, მოვიგებთ ყველა დიდ ქალაქს, მოვიგებთ ყველა დიდ რეგიონს.

– იმ რესურსის ფონზე, რომელიც ბიძინა ივანიშვილს აქვს?

– დღეს ბიძინა ივანიშვილი გაცილებით სუსტია, ვიდრე 2012 წლის 1 ოქტომბრის წინა ეტაპზე იყო მიხეილ სააკაშვილი. რაც შეეხება ფინანსურ რესურსს, რა, სააკაშვილს ნაკლები ფინანსური რესურსი ჰქონდა?! ფინანსური, ადმინისტრაციული, საკადრო, საგავლენო, საერთაშორისო – ყველა ეს რესურსი მის ხელთ იყო, მაგრამ, როდესაც ხალხი იღებს გადაწყვეტილებას, მას წინ ვერაფერი და ვერავინ აღუდგება. ფინანსური რესურსი მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესში, მაგრამ არა – გადამწყვეტი.

– და ეს განწყობა არის ხალხში დღეს?

– ორი ვადის შემდეგ ყველა ქვეყანაში იცვლება ხელისუფლება. მესამე ვადით ხელისუფლებაში დარჩენას არავითარი საერთო არა აქვს დემოკრატიასთან. ივანიშვილის დრო ამოიწურა. მისი დრო გავიდა. ის უნდა შეეგუოს დამარცხებასა და ოპოზიციაში გადასვლას.

ნებისმიერი ხელისუფლება დამარცხებადია. ნებისმიერ ხელისუფლებას ამოეწურება ხოლმე ვადა. უვადო არაფერია. 2016 წელს ივანიშვილს არ ჰქონდა ვადა ამოწურული. 2018 წელს თითქმის ამოეწურა, მაგრამ ძალიან ითხოვა. ახლა, 2020 წელს, ეს ვადა ნამდვილად ამოწურულია. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

ოდნავ მაინც თუ ექნება პოლიტიკური ალღო, ის უნდა მიხვდეს, რომ ახლა მისთვისვე უკეთესია, მშვიდად გადავიდეს ოპოზიციაში და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ისევ იბრძოლოს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. ეს ბევრად უფრო დემოკრატიული და ლოგიკური იქნება მისი მხრიდან.

– შეიძლება, ამისთვის მზად აღმოჩნდეს?

– არა მგონია. ეს უფრო სურვილია. დარწმუნებული ვარ, თალაკვაძეც და კობახიძეც ძალიან არ იქნებოდნენ აღფრთოვანებული ამ პრესკონფერენციის ჩატარებით, მაგრამ მათ მიიღეს დავალება და შეასრულეს.

ბუნებრივია, ივანიშვილს მომხრეები ჰყავს. მისი მომხრეების თვალში კორონავირუსთან ბრძოლის კუთხითაც ერთიორად გაიზრდებოდა. მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი, ამ სიკეთეს კიდევ დავამატებდი: დაკავებულ ბიჭებსაც გამოვუშვებდი, პროპორციულ არჩევნებსაც ჩავატარებდი და ამით ყველა ჩემს მოწინააღმდეგეს განვაიარაღებდი.

– ანუ ეს იქნებოდა პოლიტიკურად სწორი სვლა?

– რასაკვირველია! ახლა ყველა – ოპოზიციაც, მოწინააღმდეგეც, მომხრეც, საერთაშორისო საზოგადოებაც, თავის წინააღმდეგ განაწყო და დარაზმა. ამას ვერ ხვდება. ამას რომ მიხვდეს, პოლიტიკოსი უნდა იყოს, პოლიტიკური ხედვა და ალღო უნდა ჰქონდეს, რაც არ გააჩნია.

არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკაში.

გოგი წულაია: „ხელისუფლება ცალი ხელით ევროპასა და ამერიკას ფულს სთხოვს, მეორე ხელით კი ატყუებს“

„საღამოს 9 საათზე რომ იწყება კომენდანტის საათი, სასაცილოა. თუ 9 საათამდე ველაპარაკები მეზობელს და კორონა არ მასნეულებს, 9-ის შემდეგ რა უნდა მეტაკოს?!“

მარიამ მჭედლიშვილი

მმართველი პარტია და ოპოზიცია განაგრძობენ ურთიერთბრალდებებს 8 მარტს მიღწეულ შეთანხმებაზე. მოლაპარაკებებში მონაწილე ფასილიტატორი ელჩები აცხადებენ, რომ შეთანხმების მეორე ნაწილი ფოკუსირებულია იმ საკითხების გადაჭრაზე, რომლებიც სასამართლო სისტემაში პოლიტიკურ ჩარევას ჰგავს. არსებობს თუ არა საფრთხე, რომ არ გამოვიდეს ძლივს შეთანხმებული საარჩევნო მოდელის (120/30) მიღება? რატომ მცირდება ხელისუფლების რეიტინგი? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თანათავმჯდომარე გოგი წულაიას.

– არსებული გარემოებების გამო ხომ არ იტყვით უარს შეთანხმებული საარჩევნო მოდელის (120/30) მიღებასა და შესაბამის საკონსტიტუციო ცვლილებაზე?

– პირველ რიგში, 12 მაისის დღესასწაულს – ანდრია პირველწოდებულისა და ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღეს ვულოცავ თქვენს გაზეთსა და მის მკითხველებს. მთავარია, იყოს პოლიტიკური ნება და ამ მოდელს არაფერი დაემუქრება. როგორც ვატყობ, „ქართულ ოცნებას“ ეს ნება არა აქვს და ამ გარემოებებსაც თვითონ ქმნის. ხელისუფლებას ძალიან გაუტკბა ბევრი მაჟორიტარი პარლამენტში და არსებული მოდელი 77/73. ამიტომ ვერ ელევა.

– ხელისუფლების მომხრე ექსპერტები იმის მტკიცებაში არიან, რომ ეპიდემიასთან ბრძოლაში და საგანგებო მდგომარეობის დროს „ქართული ოცნების“ რეიტინგი მკვეთრად ამაღლდა, ოპოზიციისა კი შემცირდა.

– ამაში სიმართლის პატარა მარცვალია. ეპიდემიის შიშმა ყველგან, ყველა ქვეყანაში ხალხში შიში გააჩინა და ხელისუფლების მიმართ იმედი დაბადა. როცა ვირუსი მძვინვარებს, ადამიანები ძალაუნებურად მეტად დამოკიდებული ხდებიან მთავრობებზე. არის განცდა, რომ ეპიდემიისა თუ პანდემიისგან ხელისუფლებამ უნდა გადაარჩინოს. საქართველოშიც ეს იყო, სხვა არაფერი. „ქართული ოცნების“ რეიტინგი ასე ვერ გაიზრდებოდა. ბოლო დროს ქვეყანაში კორონავირუსთან ბრძოლა უაზრო არაადამიანურ შეზღუდვებში გადაიზარდა.

– კომენდანტის საათს, ბევრი ობიექტის შეზღუდულ მუშაობასა და უტრანსპორტობას გულისხმობთ?

– ბევრ სხვა რამესაც. კომენდანტის საათით დავიწყებ. საღამოს 9 საათზე რომ იწყება კომენდანტის საათი, ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. შე ოჯახაშენებულო, დღე გაიზარდა. თუ არ იცი, გამოდი „ბალკონზე“ და გაიგებ! დღე რომ გაიზარდა, ღამის 12 საათიდან მაინც აამოქმედე ეგ კომენდანტის საათი! მაგის დანიშნულებას ვერ ვიგებ. თუ 9 საათამდე ველაპარაკები მეზობელს და კორონა არ მასნეულებს, 9-ის შემდეგ რა უნდა მეტაკოს?! ამ გზების მორწყვა რომ აუჩემებიათ, რისთვისაა საჭირო? ჩემი აზრით, აქედან ფული „ტყდება“.

– ქუჩების დეზინფექციაზე საუბრობთ?

– დიახ. მე მაგას მორწყვას ვეძახი. რა აუცილებელია იმ ადგილების დეზინფექცია, რომლებიც ბუნებრივად ნიავდება?! თუ ვირუსის მოსპობა უნდათ, სადარბაზოებს ჩაუტარონ დეზინფექცია! ახლა თბილისში ვიმყოფები. არ მესმის, რატომ აყენებენ ე.წ. პოსტებზე ჯარისკაცებს, რატომ აწვალებენ, გაუგებარია. ამაში რატომ ხარჯავენ რესურსს? ეს აკრძალვები ხალხს უდიდეს ზიანს აყენებს. ქუთაისში ქალს, რომელიც ჩემ მეზობლად არის გათხოვილი, გარდაეცვალა მამა. ისიც ქუთაისში, დაახლოებით 7 კილომეტრში ცხოვრობდა. მამის სამძიმარზე ქალს უნდოდა 3 შვილის წაყვანა მანქანით. როგორც იცით, სამივეს ჩასმა აკრძალულია. ამიტომ ჭირისუფლებმა რეკეს 144-სა და 112-ში. ნებართვა ვერ აიღეს. ქალმა მამის სახლში ორი შვილი წაიყვანა, მესამე კი დატოვა. გასკდა ბავშვი ტირილით. ქუთაისში, ლეჟავას ქუჩის 3-ში, ქალმა სახლში იმშობიარა. მის გვარს მხოლოდ მასთან შეთანხმებით დავასახელებ. სასწრაფო გადატვირთული იყო და დროზე ვერ მოვიდა. ამ შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო დახმარებას არ ვადანაშაულებ. მისი ექიმები სხვა მედიკოსებზე არანაკლებად შრომობენ. იმის გამო, რომ კომენდანტის საათი იყო, მანქანიანმა მეზობლებმა ქალი სამშობიარომდე ვერ მიიყვანეს. მან შინ იმშობიარა. შეიძლება, ადამიანმა ოცდამეერთე საუკუნეში სახლში უექიმოდ იმშობიაროს? ეს არის ხელისუფლების ბრალი. ამიტომ ნურაფერს გვამადლიან, ნურც ტრაბახობენ. მალე ხალხს კორონავირუსის არ შეეშინდება, შიმშილმა კი უკვე ბევრი შეაწუხა. აშშ-მ და ევროპამ საქართველოს თანხები გამოუყვეს. ამ ფულიდან ხელისუფლებამ ხალხის ნაწილის დახმარება გადაწყვიტა. ხელისუფლებაში არა ვარ, მაგრამ ყოველდღე ათეულობით ადამიანი მიკავშირდება. ისინი მეკითხებიან, როგორ და როდის მიიღებენ დაპირებულ 200 ლარს თვეში. ზოგმა ისიც არ იცის, რომელი კატეგორია იღებს ამ კომპენსაციას.

– კომპენსაციებს ცოტა ხანში გასცემენ.

– ხალხს კითხვები დაუგროვდა. ვინმემ ხომ უნდა გასცეს პასუხი?! ჯერ ერთი, თუ დახმარება იყო, აქამდე უნდა დაერიგებინათ. სხვა სახელმწიფოებმა, რომელსაც რამდენი შეეძლო, ეს დიდი ხანია, გააკეთეს. ეს ფულადი დახმარებები უნდა გაიცეს იმ ფულიდან, რომელიც აშშ-დან და ევროსტრუქტურებიდან მოდის. ამიტომ, მგონია, რომ საქართველოს ხელისუფლებას კიდევ ერთი „გადაგდება“, მარტის შეთანხმების დარღვევა, არ გამოუვა. არ გამოვა, ხელისუფლება ცალი ხელით ამერიკასა და ევროპას ფულს სთხოვდეს, ცალი ხელით კი ატყუებდეს. ვფიქრობ, ამ მიზეზის გამო „ქართულ ოცნებას“ დაპირების შესრულება მოუწევს.

– გიორგი გახარიას საკარაუდო შეცვლა რას მოუტანს ხელისუფლებას?

– არაფერს. მე გახარიას არ ვაქებ. მთავრობას ბოლო დროს ხალხისთვის განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. მიუხედავად ამისა, ის, გარკვეულწილად, ფიგურაა. საზოგადოების ნაწილი ხელისუფლების ანტივირუსულ ქმედებებს გახარიას უკავშირებს. მას გარკვეული ქულები ეწერება. ბიძინა ივანიშვილი ვერ იტანს ფიგურებს და იმ პირებს, რომლებსაც ქულები ეწერებათ. ამიტომაც გახარიას შეცვლა მოსალოდნელია, თუმცა ამით „ქართული ოცნების“ ავტორიტეტი არ გაიზრდება.

გია ჟორჟოლიანი: „კინზინგერს 8 მარტის შეთანხმება ედარდება? ტვიტერზე ვილაცის ხათრით დაწერა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ვიქნებიო. როგორც ერთი, ისე მეორე მხარე ასე ფიქრობს. გარდა ამისა, არის უცხოელების ფაქტორი. ამას სერიოზულად თუ შევხედავთ, ამ ადამიანებს წარმოდგენა არ აქვთ, მსოფლიოში რა ხდება. მოგეხსენებათ, აშშ-ში რა ვითარებაა. კინზინგერს მეტი საქმე არა აქვს? თავის საქმეს უნდა მიხედოს.

– მათ ახალი წერილები გამოაგზავნეს.

– ვიცი, მაგრამ ეს ძალიან სერიოზული ამბავი არ არის.

– რატომ?

– იმიტომ, რომ დღეს ამერიკა პირველ ადგილზეა ყოველდღიურად ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობით. ზოგიერთ შტატში ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ძალიან კრიტიკულია როგორც მთავრობის, ასევე პარტიების მდგომარეობა. ამ დეპუტატების უმეტესი ნაწილი რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელია. მათი მდგომარეობა ძალიან მძიმეა.

პანდემიური მდგომარეობაც მძიმეა და სოციალ-ეკონომიკურიც. მე ვითარებას რეგულარულად ვეცნობი. იქ ყოველდღიურად მსჯელობენ, როგორ გამოვიდნენ არსებული მდგომარეობიდან. სერიოზულად თუ ვიფიქრებთ, როგორ ხდება, რომ ამ ვითარებაში ამერიკელ კონგრესმენს 8 მარტის შეთანხმება ედარდება, ეს არასერიოზულია. ვილაცის ხათრით ტვიტერზე რაღაც დაწერა. ეგ არის მაგათი პოლიტიკის აქტუალური თემა?

– ხათრით მისწერა თუ რამე დაინტერესება ჰქონდა?

– არ ვიცი, დაინტერესება აქვს თუ არა. როგორ წარმოგიდგენიათ, უცხოეთში დეპუტატები გენიოსები და ყველაზე განათლებული ადამიანები არიან? რაც ჩვენთან, ის არიან იქაც. უკეთესები კი არ არიან. ძალიან ბევრი მათგანი ან არის ახირებული, ან იდეოლოგიზირებული, ან პოლიტიკურ კონიუნქტურას აყოლილი, ინერციული.

მთელ მსოფლიოში ძალიან სერიოზული დაბნეულობაა. თავიანთ საქმეს მიხედონ, იმის ნაცვლად, რომ აქ რაღაცას დასდევდნენ. საქართველოში სასამართლო სისტემა რომ არ ვარგა, ნაციონალებზე უკეთესად ჩვენ ვიცით. ვინ არიან ისინი, ვისაც ნაცები აკრიტიკებენ? ისინი არიან ნაციონალების დროს წამოწეული მოსამართლეები, რომლებსაც სასამართლო გადაწყვეტილებების ეგ წესი აქვთ.

ახლა მაგათ წინააღმდეგ რომ არის, ეგ არ მოსწონთ. სხვებს (მე, პირადად) ეგ იმიტომ არ მოსწონთ, რომ ობიექტურ და სამართლიან სასამართლოზე დამკვიდრებული სისტემა არ არის, რომელიც საზოგადოების ფართო ფენების ნდობით სარგებლობს. რადგან ასე არ არის, ძალიან სერიოზულ რეფორმას საჭიროებს.



„ქართულ ოცნებას“ ძალიან ბევრი და სერიოზული საკრიტიკო აქვს, რაც მე ნაციონალების, „ევროპული საქართველოსა“ და სხვების მხრიდან არ მესმის. რასაც ისინი ლაპარაკობენ დღევანდელ კრიზისულ სიტუაციაში, იმაზე უარესია ის, რასაც „ოცნება“ აკეთებს, განსაკუთრებით – მთავრობა. უმრავლესობის წარმომადგენლებზე ამას ვერ ვიტყვი.

უმრავლესობის წარმომადგენლები ძველ ინერციას არიან აყოლილი და აგრძელებენ ნაციონალებთან კინკლაობას, მაშინ, როდესაც მთავრობა ცდილობს, უნდა თუ არა, იძულებულია, მიიღოს გადაწყვეტილებები, რადგან, ეპიდემიურის გარდა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა და ამ ვითარებაში ძველი პოლიტიკის გაგრძელება შეუძლებელია. მთავრობა ცდილობს, ადამიანებს რაღაცით უშველოს.

– მთავრობამ ახლახან სოფლის მეურნეობის მიმართულებით დახმარების სამთავრობო გეგმა გამოაქვეყნა.

– ამის თაობაზე ჩვენი პარტია მსჯელობს, ვიხილავთ და გვგონია, რომ ეგ არის აქტუალური საკითხი და არა რაღაც ახირებები, რომ „ქართულ ოცნებას“ რაღაც შეცდომა აქვს და ვიპოვოთ. „ოცნებას“ შეცდომის მეტი რა აქვს, მაგრამ, მე თუ „ოცნების“ პოლიტიკა არ მომწონს და მინდა, ის შევცვალო, ამავე დროს, ვიცი, საარჩევნო სისტემა, რომელსაც მხარს ვუჭერ (უფრო მეტად პროპორციული რაც არის – 120/130-ზე), სასარგებლოა, ზოგადად, დემოკრატიული გადაწყვეტილებისა და ყველა დემოკრატიულად განწყობილი პარტიისთვის. ამიტომ ყველა შემთხვევაში უნდა დავუჭირო მხარი და შემდეგ ბევრად უფრო გაძლიერებული ვებრძოლო „ოცნებას“ იმიტომ, რომ გავასწორო ის, რაც მე არ მომწონს.

თუ მხარს არ დავუჭერ და ძველი სისტემა დარჩება, რომელიც მე უფრო მეტად არ მომწონს, მაშინ მე უკეთეს პირობებს ვუქმნი „ქართულ ოცნებას“, თავისი (ჩემი აზრით) ცუდი პოლიტიკა გააგრძელოს.

– როგორც ჩანს, ნაცებს თავიანთი გათვლები აქვთ და მოითხოვენ რამდენიმე პირის გათავისუფლებას.

– თავიანთი გათვლები რას ნიშნავს?

– ალბათ, თავიანთი პიარაქციები აქვთ დაგეგმილი.

– პიარკამპანიებზე არ ვლაპარაკობ. მე ვლაპარაკობ ლოგიკაზე. მეორე ლოგიკაა – მე საერთოდ არ მინდა არჩევნები. არჩევნების გარეშე მინდა, ისეთი სიტუაცია შევქმნა, რომ მთავრობა იძულებული გახდეს, გადადგეს. მთავრობა რომ გადადგეს, არჩევნები მაინც ხომ უნდა ჩატარდეს? თუ არჩევნები ჩატარდება, ისევ ძველი წესით უნდა ჩატარდეს.

– მაშინ, რა ლოგიკაა?

– ერთადერთი ლოგიკაა, არჩევნები არ უნდა ჩატარდეს და არჩევნების გარეშე ავიღო ხელისუფლება.

– როგორც 2003 წელს გააკეთეს, ისეთი ვარიანტი უნდათ? თავიანთი კონტროლის ქვეშ რომ ჩაატარეს არჩევნები.

– ეგ ყველაფერი სისულელეა. საერთოდ, დაგეგმილ საკონსტიტუციო ცვლილებებს არაფერი ემუქრება. ერთადერთი, ეპიდემიური სიტუაცია ემუქრება არჩევნების თარიღს.

– შეიძლება, გადაიდოს?

– თუ ძალიან მძიმე ეპიდემიური სიტუაცია იქნება, მაშინ, შეიძლება, არჩევნების თარიღი ეჭვის ქვეშ დადგეს. ბევრის თვალსაზრისით, ასეთ სიტუაციაში არჩევნები ცუდად ჩატარდება, რადგან ეპიდემიის დროს ნორმალური საარჩევნო კამპანიის წარმართვა, ხალხთან შეხვედრები შეუძლებელია. ვისაც ტელეკომპანიები აქვთ, დასხდებიან ტელევიზორებში (ორივე პარტიას აქვს ტელეკომპანიები), ერთმანეთს ლანძღავენ და ხალხმა არჩევანი მათ შორის უნდა გააკეთოს, რაც არ გვიქადის კარგი, ობიექტური, სამართლიანი და გაცნობიერებული არჩევანის შესაძლებლობას. ეს არის პრობლემა.

თუ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა გაგრძელდა, ან კიდევ უფრო ცუდი, რაც შეიძლება მოხდეს, მეორე ტალღა იქნება, რასაც არავინ გამორიცხავს, ეპიდემიის მეორე ტალღის შემთხვევაში არჩევნები ძალიან სერიოზულად დადგება ეჭვის ქვეშ, დამოუკიდებლად იმისა, რომ ვფიქრობ, „ოცნებას“, შეიძლება, ახლა არჩევნების ჩატარება აწყობდეს.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– იმიტომ, რომ ხალხი მაინც ჩამოკიდებული და დამოკიდებულია მთავრობაზე.

– ნაცები უგულავა-ოქრუაშვილი-რურუას გათავისუფლებას ითხოვენ და მათ პოლიტპატიმრებს უწოდებენ. რამდენად არიან ისინი პოლიტპატიმრები?

– მე მოსამართლე არ ვარ და ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით. დრო, როდესაც იქნა ეს გადაწყვეტილებები მიღებული, შეიძლება, ტოვებდეს შთაბეჭდილებას პოლიტიკური მიზანშეწონილობის თაობაზე. შეიძლება იფიქრო, რომ აქ არის პოლიტიკური მომენტი, მაგრამ, მეორე მხრივ, ვფიქრობ, „ოცნებისთვის“ პოლიტიკურად მომგებიანი არ იყო ამგვარი გადაწყვეტილების მიღება. თუ ეს „ოცნების“ ზეწოლითაა, შეიძლება იფიქრო, რომ გათვლა შეეშალათ.

თუ არადა, სასამართლოს ვადები დაემთხვა – ოქრუაშვილთან დაკავშირებით ამბობდნენ, რომ 9 თვე გადიოდა და მოსამართლეს რაღაც გადაწყვეტილება უნდა მიეღო, რათა შემდეგ ძიება გაგრძელებულიყო. მე ვფიქრობ, უგულავა-ოქრუაშვილის პოლიტიკური პასუხისმგებლობა ძალიან მაღალია.

– მათი გათავისუფლება პოლიტპატიმრების არსებობის აღიარებას ნიშნავს, ალბათ, ხომ?

– მე მგონი, მაგაზე მეტი გითხარით. სამართლებრივ საკითხებში არ ვერევი. მე გავაკეთე ამ საკითხების პოლიტიკური შეფასება. უნდა ინახოს კონკრეტული საქმეები, კონკრეტული ბრალდებები.